



— ეს უღვარი რომ მოვხსენით, უკან უნდა დავაბრუნოთ, თორემ ამ მანქანის ყველა ნაწილი მავის ნაწილი უფილა და სახლში მივაქვს!..

ნ.ბ. ბ. აბაშიძის

გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს — სერგო კლდიაშვილს დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმოხილული შარში ბ. ფინანსალაშვილი

სერგო კლდიაშვილს



ვამაყოფთ შენი დიდი ჰუმორით, —
რომ გვეფინება სიცილად გულზე!
შენ ამშვენებდი, წლების მანძილზე,
ჩვენს ჟურნალ „ნიანგს“ — რაღაც ოთხ
ფურცელს!

გვალფრთოვანებდა შენი სტუმრობა
და შეგხაროდით ნიანგელს უბრძნეს!
ბოლოს უკელი ჩვენთან სიარულს!
კი გვიჭირს, მაგრამ, რას ვიზამთ?

ვუძღვებთ!

ნიანგის დავალებით ზაურ ბოლქვაძე

ბ. 74



ამას წინათ სამი ავტომოყვარული ქალი უმსუბუქესი „ზაპოროჟეცით“, ახლო ნათესავის სანახავად, თელავიდან თიანეთის გზას გავეუდევით.

საჭესთან ერთმანეთს ვენაცვლებოდით და ამით ვიადვილებდით... სიძნელეს გზისა.

როგორც იქნა, ჩავალწიეთ თიანეთში, მაგრამ ჩვენი ნათესავი თავის ნათესავთან წასულიყო 2 დღით. სხვა გზა არ გვქონდა და, გულდაწყვეტილებმა, იმავე გზით თელავში დაბრუნება გადავწყვიტეთ.

რაკი ძალიან მოგვშივდა, მეორე გადაწყვეტილებაც მივიღეთ: ცოტა შეგვესვენა, რომელიმე სასადილოში ან რესტორანში დაგვანაყრებელიყავით და მერე გამოვბრუნებელიყავით უკან.

თიანეთში არის ახალი რესტორანი; სასადილოც და ხაზინკლუც ბევრია, მაგრამ, სადაც კი დავაბრეთ შესვლა, ყველა სახსე იყო მთვრალი მამაკაცებით, ისმოდა ლანძღვა-გინება, ჰქონდათ ერთი ქოთქოთი, ჩხუბი და აყალმაყალი. არც რესტორანში, არც სასადილოში, არც სახინკლუში ქალი, იგივე დედაკაცი, თვალთაც არ დაგვინახავს! შევიხედავდით და დამნაშავეებივით უკან გამოვბრუნდებოდით...

მშვირები და გაწბილებულები ჩავსხედით ჩვენს „ზაპოროჟეცში“ და თელავისკენ წამოვედით. სოფელ სიონში სასადილო რომ დაგვინახეთ, ახლა კი გვეშველა-მეთქი, ვიფიქრე და შევიჩერდით...

სასადილოს წინ აუარებელი ავტომანქანა გაეჩერებინათ! რომელი მარკის მანქანას არ ნახავდით აქ! ზოგში ქალები ისხდნენ: „ჯენტლმენ“ მამაკაცებს ისინი მიეტოვებინათ და თვითონ სასადილოში შებრძანებულებიყვნენ.

გამბედაობა მოვიკრიბეთ, შეზარხოშებული მამაკაცებით გაჭედით და თამბაქოს კვამლით ჩაბნელებულ სასადილოში შევედით... როგორც იქნა, მივაგენით თავისუფალ მაგიდას, მაგრამ მებუფეტესა და მიმტანებს ჩვენთვის არ ეცალათ: მამაკაცების მაგიდეზე მიჰქონდათ ღვინო და საჭმელი.

იყო ერთი ყვირილი და გადაძახება: „ჯიგრებო, აქეთ მოდექით, დაგვლოცეთ!“ და „ჯიგრებიც“ სულმოუთქმელად ცლიდნენ სახსე ჭიქებს.

ერთმა კლიენტმა ჩემი თანამგზავრი ქერა, ცისფერთვალეა გოგონების დანახვაზე, „ორი ჩორნიეო“, ჩაიროხროხა და ზედ რამდენიმე უშვერი სიტყვაც მიაყოლა...


— ეი, შენ, რას ილანძღები?! — გამოვხმაურა მეორე მაგიდიდან ვიღაც ახმახი, რომელიც, ეტყობოდა, ჩხუბის მიზეზს ეძებდა. იგი მაგიდიდან წამოდგა და მუშტებმოღერებული, ბარბაცით წამოვიდა „ორი ჩორნიეს“ წამომძახებლისკენ...

დაგვაიწყდა შიმშილიც, დაღლილობაც! გამოვვარდით გარეთ, დავექოქეთ „ზაპოროჟეცი“ და მაქსიმალური სიჩქარით დავიძარით ადგილიდან. მანქანებში მსხდომმა ქალებმა შური გამოგვაყოლეს თვალები.

თელავში მშვიდობით კი დავბრუნდით, მაგრამ შიმშილი-საგან ისე ვიყავით დასუსტებულები, მანქანიდან ძლივს გადმოვედით...

ავტომოყვარულ ქალებო! თუ თიანეთისაკენ, სოფელ სიონზე გავლით, იმგზავრებთ, თან წაიღეთ საგზალი, თორემ ჩვენს დღეში ჩავარდებით!

მარინე ბოგოლაცე,
თელავის პედინსტიტუტის კანცელარიის გამგე.



რა ჯუჯუაა...
რა ჯუჯუაა...
რა ჯუჯუაა...

ნახარი

ერთ დღეს გაშმაგებული მივეარდი სახლში და ფანქრის წვერის თლა დავიწყე.

— რატომ უთლი წვერს ფანქარს? — მკითხა ცოლმა.

— ტაქსისტებზე ფელეტონი უნდა დავწერო!

— ბიჭო, დაფიქრდი, შენი დეიდაშვილი ხომ ტაქსისტია? თავის თავზე არ ეგონოს!

— „მართლაც, ჩემს დეიდაშვილს თავის თავზე არ ეგონოს!“ — ვიფიქრე და მარჯვენა მომიღუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გაშმაგებული მივეარდი სახლში და ავტოკალამი მელნით გავავსე.

— რატომ ავსებ ავტოკალამს? — მკითხა ცოლმა.

— ბიუროკრატებზე ფელეტონი უნდა დავწერო!

— ბიჭო, დაფიქრდი, შენმა დირექტორმა თავის თავზე არ მიიღოს!

— „მართლაც და, ჩემმა დირექტორმა თავის თავზე არ მიიღოს!“ — ვიფიქრე და ისევ მომიღუნდა ხელი.

რამდენიმე დღის შემდეგ, მივედი თუ არა სახლში, კალამს და ტუშს ვეძებრე.

— რისთვის გინდა ტუში? — მკითხა ცოლმა.

— კარიკატურა უნდა დავხატო სპეკულანტებზე.

— ბიჭო, ჩვენს მეზობელ სერგოს თავის თავზე არ ეგონოს, რას აკეთებ!

— „მართლაც, სერგომ თავის თავზე არ მიიღოს!“ — ვიფიქრე და კვლავ ხელი ჩავიქნიე.

ერთ დღეს გამწარებულმა მოვიმარავე ზეთის საღებავები, ფუნჯები და ტილო.

— რისთვის გინდა ყოველივე ეს? — მკითხა ცოლმა.

— მექრთამეობის საწინააღმდეგო სურათი უნდა შევქმნა!

— ბიჭო, ჩემმა ბიძაშვილმა თავის თავზე არ მიიღოს, დაფიქრდი!

— „მართლაც, ჩემი ცოლის ბიძაშვილმა თავის თავზე არ მიიღოს!“ — ვიფიქრე და კვლავ დავყარე იარაღი, მაგრამ წერის ჭია ისე მიღრღნიდა გონებას, რომ, გადავწყვიტე, საკუთარ თავზე დამეწერა ფელეტონი და დავწერე კიდევ!..

ტარიელ ზანგურაშვილი




— დამე ამ გაათიე, გონდო?!
— გავითიე კი არა, რომ მოვკვდე, მაინც არ შევარჩენ იმ გაგყიდველს, გუშინ რომ ორმოცდაათი ბრაში ქმევი დავაკლო!..

ნახ. ბ. ფირცხალავასი



ჩავსკენილ-ჩამარყუებულნი...



ინტერვიუ

ინტერვიუ ბალროს მკურნალებთან
საბავშვო სკოლაში

— ხალ და რით დაიწყო ვარჯიში? რა მიზანს ისახავდით?
— ვარჯიში დაიწყო ჩემს მშობლიურ სოფელში, თბის ტურისტთა (შემდეგ მიკოევი) ცენტრის სხვა სსსრკ-სამედიკო-სპორტული განყოფილებაში, რაც შემოღობულა შირის ვეზობა და ხელში არ შემიგებინებია. ტურისტები იმდენად შევეყიანე აღმოჩნდა, რომ კოლმედიკო-სპორტის განყოფილებაშიც და მეც დიდხანს ვაგრძელებდი (საბავშვო წარმართების მოსალოცად). ვარჯიშების კომპლექსში შევიტანე სირილი სოფლიდან რაიონის ცენტრამდე და პირიქით. ერთიანი დამატებული ვარჯიშის შემდეგ ჩვეუური ხალისის ტურისტების სექციამი, რამაც ხელი შემიწყო ინსტიტუტში ჩარიცხვაში.

— სოფელში არ აპირებთ დაბრუნებას?
— ცოცხალი თვით არა და, უთავოდ აქაც ვარბად ვაქი!
5. იოსებბიძე

ახლა ღამე... ფანჯრებზე აქვინი... არ მძინავს... წვირ და ვვიტოვებ ცაყი!
ნელა იცხება უსტარია გრძელი, ფიჭვის მთიანტაყს ასული შენი!
ცაყად არ მოვლდი... ცაყი ვარ მეყა! მოიკრებება მაქცეს მხეცად...
იხე კი, ბრალი მივიტყვის შენცა, — ვიცი, აქვეი შეუღლის ვნას!

როგორც მანქანას, გმართავდა ცოლი, მუარად გბრავდა ტოლი და სწორი!

და გაუღწევანია რომ დადგეს ბრალი, მამინ კი მართად დადავდა თვალ.

კი არ გვერისი, რომ ნიშნს გიგებდ, შენ დაყენილდე, მე თავს ვიკებდი!

მინდა, დაწვერო და დაემათავრო, ჩემი სიმამრო თუ სსსრკ-ში!

მყარა... ვა, იხვე მიკვდება გული, არ მჭინდა „გოლგა“, სიზმარი — ვული!
კანდიდატობაც არ მჭინდა ერთი, არც ავარია... გამაწყრა ღმერთი!

არ მჭინდა კრძოი სახლი და ვარა... ვუი ვაგზი შენი ასულის მჭინა!

ხედავ? ცხოვრება მართლა ოშია და შენ მოივ, — არა მჭინია!

სევდარულით და პირზე კოცინთ
შენი უყოლიო ხახხი
იხვირ თხახხარნი

სსსრკ-ში



ლლი მარტაშვილი
ფიჭვი
თასკერ ვადამღერებულდინ ვადამღერა და შეადგინა წიგნი ზევირ იწვალა თუ ცოტა, გამომცემლობას ვეგამი შეატანინა წიგნი ვალსახლავდა მესტაბებს, რომ ვარა ქალაქზე დაგებდა წიგნი! დამამყავდა მსტაბებს, რომ ვარაგ მთავდა წიგნი!
— და ერთ მუან დღეს ვამოვიდა დედა ღამეში წიგნი! ზევირ ირბინა და ცხრა რეცხვებზე ცხრა ვახვთში შეაქვინა წიგნი! ახლა ავტორის ოქმიუსვიის იბრძვის და იბრძვის წიგნი!

ანდაზები

- **ბაბი** მიკვირში მუშაობდა და მანც ამბობდენ, თბოლ ადგილზეა მოკალათებულაო.
- **საბარალდამი** სკამზე ჭლომის ხელფასზე ჭლომა სკამს
- **მუხლბის** გამოჩენას — თავის გამოჩენა!
- **ბაბის** დამოკლებას — ენის დამოკლება!

6. ი.



მინიატურები

— ამბროსის გაუკეთებელი საქმე არ შეგეულება და დისტრატის რატომ არ იცავს?
— ყველგერი ხომ არ უნდა იკაროს ცაქმა!

— ხომ არ მოიწონებენ, შევასტრ რაც ვენს სათვ ვადელი?
— პირიქით, ისე დიდგერითე სათვების მიკროვებით, რომ, მესამე წელია, ერთი წუთი არ მომიტოლა.

8. 8.

ჩვენი ღროს რაინდი

(რომანის სრულდება ღმის სამ სათზე)

ვოგობო, ვილდეშოთ, ვადომბელეთ ერთი მესამეზე ვარ გვერთით, არ ვაგვეწრეთ ღმერთი!

სამ დოქ ღმინის რომ ვამოკული, მოვალ ცოტა ვერზე, ცლი ხელთი ალის დავეცემ, ცლი ხელთი — ვრეზრს.

ცა ქუდად არ მიმანია, და, გზა მინდა ფართი! შევიბრები დამეფანტა, დაწვანალებ მართო!

ღმის სამი სათია, მე ქუდაში ვბლაგი... დამალ მე ვარ, მალა — მთავარ, მინარეტი — ღლევი.

ფანჯრებიდან მიყურებენ — მჭირად უღიოთ ტყავი! უბატონოდ ხმას ვინ ვამცემს, რომელსა სტულ თავი?

თუ ვაკორა, შემიწოლა, ბასრი დანაც ვიბრო... გზა მომეცით! ეს პროსექტი არის ჩემთვის ვწრო!

ბაბი გელოვანი



— რა არის, მამო, ალანს ვაბოიში რომ მიხედავი?
— რა მუნა, მამ! მუნს ვაბოიში იბრძენ მამოვთო კალაში, თუ რამე არ აქამე, სასუკლად ვი მხედალი...



6. 8. 8. იოსებბიძე

ღმინიზაბები

აზრინი ფრავები

50 ეცდები, თავზე დასივა უფრო-სი. ის ამას შენს ღმინიზაბებულად ვაყეთებს!

მითლი სიყოცლო ჰერმაროლზე ფიჭობდა და, ცოდნის მავიერად, მაროლუნი დაავრთვა.

მთავარი საფურისი შიგნია, და ვადებუის მინანხას რა უნდა?

ბიზლა ვახხამი



6. 8. 8. იოსებბიძე

გაქვსებნი

ფახვრის გულშემატიყვარი ახალი სტალინის ვახხის ელის, საწყობის გამებ — დაღუქული საწყობისას.

ამინდის ბუთონ მშის დაბნელება ვამოკცხადა და იმ დღეს მართლაც... დაამდა.

7. 8.



6. 8. 8. იოსებბიძე

სსსრკ-ში



— სად გარბიხარ, მოქალაქე! გილეთი აილე!
— რა მიზანს, ქალო, გაქცევს?!



საქართველო
ბელარუსი

ნახ. ბ. კანდელაკისა

— დასუთმე, შვილო, კდგილი! სომ სედავ, უფ-
როსსა!
— უფროსი კი არა, ჩვენი სკოლუს დარაჯია!

50-60-70... აკვირებო

— შაბათი, კვირა, ორშაბათი... — რედაქტორმა კალენდარი ორშაბათზე დაარეგულირა, — საკმარისი დრო იყო. ავტორები იუმორესკებს დაწერდნენ, თანაც კარგად. დღეს რედაქციაში ნაყოფიერების სხივი შემოვა! — რედაქტორი სავარძელში ოპტიმისტურად მოეწყო.

— შეიძლება?
— მობრძანდით, მობრძანდით! — რედაქტორმა კაბინეტში შეიპატიჟა სიბერის პრელუდიის შემსრულებელი. „ნეტავ, რა საქმეზეა მოსული? ავტორი იქნება, სატირულ-იუმორისტულ მოთხრობებს მოიტანდა... ისე იღიმება, ნაღდად ასეა!“ — ამ ფიქრებით რედაქტორმა სავარძელში ჩასვა სტუმარი.

— მიცნობთ ხომ? — სტუმარი ფამილარულად შეეკითხა რედაქტორს.
— კი... ვინა... როგორ არა! — სიცრულემ დაჯაბნა რედაქტორი.

— ეჰ, თუმცა რაღას მიცნობთ, სიჭაბუკეს ვეთხოვები, ორმოცდაათი წელი შემისრულდა...

— ჯერ რა დროს თქვენი სიბერეა! — რედაქტორმა გააზნუნა სტუმარი.

— ეჰ, 50 წელი კარზე რომ მიგიკაკუნებს, უნდა გაულო!

— ორმოცდაათი წლის? თქვენ არაფერი გეტყობათ! — აწყნარებდა რედაქტორი.

— ეჰ, როგორ არა...
— არა, ბატონო, არა!
— როგორ არა!
— არა!

— აა, ბატონო, თუ არ გჯერათ! — სტუმარმა თავისი პასპორტი გადაუშალა რედაქტორს.

რედაქტორის თვალები დაერჭო კუპ-

რივით შავ ასობს: ჭიჭიკო უცნობაძე. დაბადების წელი — 1924.

— ამას უჭერებთ?! — გაუღიმა რედაქტორმა.

— 50 წელი ხუმრობა არ არის! აქედან 45 წელი ლექსები, პოეზიის მსახურად ყოფნა... და აგერ 50 წელიც მიკაკუნებს! — სტუმარმა პოეტმა მავიდაზე დააკაკუნა სამად მოკეცილი სალოკი თითი.

— მაგაზე ნურც იფიქრებთ! წლოვანებას საზღვრავს ფიზიკური, გარეგნული სახე და, რაც მთავარია, შემოქმედებითი წვა!

— ეჰ, შემოქმედებაც, შემოქმედებაც! 50 წლის მანძილზე... ეჰ, შემისრულდა 50 წელი... აქედან 45 წელი ლექსების შინაგანი უღელი...

— რას იზამთ! — დანებდა რედაქტორი.

— ეჰ, ჩემო ბიჭიკო, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ. რამდენი წლისა ხარ? — შეეკითხა სტუმარი პოეტი.

— ოცდა...
— ეჰ, ჯერ შენ ნორჩი ხარ, 50 წლის რომ გახდები, გადახედავ შენს განვლილს, თავს მოუყრა, დაელოდები რაღაც დღის მოახლოებას...

— ოხ, როგორ გეკადრებათ! რა დროს სიკვდილზე ფიქრია! — განქიქდა რედაქტორი.

— არა, სიკვდილს კი არ დაელოდები... დაელოდები... დაელოდები ამის მსგავს რაღაცას, — სტუმარმა პოეტმა სიცილით მიმართა რედაქტორს, მერე ჩანთიდან ამოალაგა გაცრეცილი კონვერტები.

— „ნაღდად იუმორისტული მოთხრობები აქვს! ისე ლაპარაკობს, არ შეიძ-

ლება, არ ჰქონდეს სატირული მაინც!“ — იმედიანობდა რედაქტორი.

სტუმარმა პოეტმა პირველი კონვერტიდან სურათები ამოალაგა... ხალიჩაზე დაწოლილი შიშველი ბავშვი უმწეოდ მიაჩერდა რედაქტორს.

— ეს მე ვარ, რვა თვისა! — აუხსნა სტუმარმა პოეტმა.

რედაქტორს სიცილი აუტყდა: წამით წარმოიდგინა 50 წლის დედიშობილა პოეტი.

— ეს უკვე ერთი წლისა ვარ, თურმე ძალიან მიყვარდა კამფეტები...

რედაქტორი გაოცებული დაჰყურებდა კამფეტებით პირგამოტენილი ბავშვის სურათს, ელოდა, რომ მომდევნო სურათში ყურებიდან გადმოუცვივდებოდა გაჭყლებილი კამფეტები.

— ესეც მე ვარ, ლექსს ვამბობ ბაღში, სკოლაში... ეს კი, მუცლის ტიფის დროს, ლექსს ვამბობ დეზინფექტორების წინაშე... ეჰ, წავიდა წლები 50, 50, 50... ერთი ისღა დამრჩენია, ვიფიქრო: მოვესწრები ოთხმოც წელს?

— კი, როგორ არ მოვესწრებით! — გული გაუმაგრა რედაქტორმა.

პოეტ ჭიჭიკო უცნობაძეს თვალები აუწყლიანდა და განაწყენებულმა, ნელი ნაბიჯით დატოვა რედაქტორის კაბინეტი...

— „ელაპარაკე, რამდენიც გინდა... ვერ მიხვდა, რომ ერთი მეგობრული წერილი ან შარჟი... ეგეც იტყვის, კაცური გრძნობები მაქვსო. დააყენებენ რედაქტორად, ელემენტარულ რამეს რომ ვერ გებულობს... ეჰ!“ — ოხვრას გული ამოაყოლა უცნობაძემ და გეზი შემდეგ რედაქციისაკენ აიღო.

74-435

ინდეკ. 76187

7
1974.

კორეუბალიის გზრომელი ხალხი მოითხოვს ფაშისტური ელემენტების განდევნას სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოებშიდან.

გენერალური წმენდა



ნ.ბ. ლომიძისა